დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 1082523110**

თარიღი:**19/08/2025**

ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი/მ ,,გელა მუსხელიშვილს“ შორის 2025 წლის 27 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N125 ხელშეკრულებისა და ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - მეგი ედიბერიძის 2025 წლის 15 აგვისტოს N 02-1082522740 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ი/მ გელა მუსხელიშვილმა უზრუნველყოს ერთი ერთეული ტრანსპორტის გამოყოფა 2025 წლის აგვისტოდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ,,პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის“ ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის მონიტორინგისათვის ტრანსპორტის გამოყოფა შემდეგი მიმართულებით. თვეში სამჯერ თითოეულ მიმართულებაზე, მოთხოვნის შესაბამისად. (ტრანსპორტის მოთხოვნა განხორციელდება პროექტის ხელმძღვანელის - მეგი ედიბეიძის სატელეფონო შეტყობინების გზით)

ა) ქ. დმანისის - სოფელი ჯავახი - ქ. დმანისი

ბ) ქ. დმანისის - სოფელი ბოსლები - ქ. დმანისი

გ) ქ. დმანისის - სოფელი ამამლო - ქ. დმანისი

დ) ქ. დმანისის - სოფელი განახლება - ქ. დმანისი

2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა გადარიცხოს თანხა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, შემდეგი პროგრამული კოდიდან 06 02 11.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება განახორციელოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვთა უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - მეგი ედიბერიძემ.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან - საბას ქ. №113).

კობა მურადაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი